



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია



ბრძანება:ბ46.46203368

თარიღი:01/12/2020

მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ელექტრონული სერვისის - „შენი იდეა მუნიციპალიტეტის მერს“ განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“, „ე.ი“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 85-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე ინიციატივების წარდგენის უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ელექტრონული სერვისის - „შენი იდეა მუნიციპალიტეტის მერს“ განხორციელების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ჩოხატაურს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს ამ ბრძანების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნება.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე ეთხოვოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩაN4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია-
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

